

## როგორ შევქმნათ ეფექტური, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული სასწავლო გარემო

ნატო ხაჭაპურიძე

თბილისის #72 საჯარო სკოლის პედაგოგი

### რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლეებთან მუშაობის ფორმები, დასაბუთებულია, რომ უპირველეს ყოვლისა, თავად მასწავლებელმა უნდა ირწმუნოს მოსწავლეების შესაძლებლობები და საქმით დაანახოს მათ, რომ მზად არის ყველაფერი გააკეთოს მათი წარმატებისთვის. კერძოდ, სტატიაში განხილულია ერთ-ერთი კონკრეტული მეთოდიკა „სტუმრად აიშესთან“, ნაჩვენებია, რომ მასწავლებელმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ოჯახებთან და თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი შეატყობინოს მშობლებს. ეს მოსწავლეებს უფრო თავდაჯერებულებს გახდის და აღარც იმ შეცდომით წარმოთქმული ფრაზებისა და სიტყვების შიში და რიდი ექნებათ, რაც არცთუ ისე იშვიათია, განსაკუთრებით სწავლების პირველ წლებში. როდესაც ბავშვი დარწმუნებულია, რომ მას შეცდომისთვის არ დასცინებენ, არ გაკიცხავენ, პირიქით მხარში ამოუდგებიან თანატოლები, გაამხნევენ მასწავლებელი, უეჭველად შეექმნება განწყობა კიდევ უფრო მეტი გააკეთოს და თავი გამოიჩინოს. სტატიის ავტორის აზრით ასეთი დამოკიდებულება წაადგება ნებისმიერი ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლეს.

*საკვანძო სიტყვები:* მოსწავლე, მასწავლებელი, მეთოდი.

სასწავლო პროცესის სწორად წარმართვა მასწავლებლისგან დიდ დაკვირვებას, ცოდნასა და პროფესიული უნარების ფლობას მოითხოვს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მასწავლებლის სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულება პირდაპირ აისახება მოსწავლეების მოტივაციასა და განწყობაზე, ასევე შედეგებზე.

წარმატების წინაპირობა და გარანტია პოზიტიური სასწავლო გარემო, მასწავლებელსა და მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობები.

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. თბილისის ბევრ სკოლაში შეხვდებით სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლეს (რომ არაფერი ვთქვა, მთლიანად საქართველოს მასშტაბით მრავალეთნიკური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ კუთხეებზე), რომლებსაც განსხვავებული ტრადიციები, ადათ-წესები და ენა აქვთ. ვფიქრობ, მისასალმებელია, რომ ბოლო წლებში ქართულ სკოლებში საგრძნობლად იმატა სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენელი მოსწავლეების რიცხვმა. ბევრ არაქართულ ოჯახს გაუჩნდა სურვილი, ქართულ ენაზე მიაღებინონ შვილებს განათლება.

ამას ხელს უწყობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც. შემუშავდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების ახალი სტრატეგია. ამოქმედდა პროგრამა: „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. რაღა თქმა უნდა, რომ მოსწავლეთა წარმატებისა და მიღწევის დონეები ხშირად განსხვავებულია. მით უფრო, რომ ხშირად მშობლებსაც უჭირთ ქართულ ენაზე მეტყველება. მასწავლებელი, ასეთ შემთხვევაში, ყველა ღონეს უნდა ხმარობდეს მოსწავლის მოტივაციისა და თვითშეფასების ასამაღლებლად. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით გეტყვით, რომ ეს არ არის იოლია, მაგრამ არ არის შეუძლებელი.

განსხვავებული წარმოშობის მოსწავლეების განათლების დონის ამადლების საუკეთესო საშუალებაა: მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს თითოეულისთვის საჭირო ცვლილებები, შეძლოს მათი თავისებურებების გათვალისწინებით შექმნას შესაფერისი გარემო.

უპირველეს ყოვლისა, კლასში უნდა შეიქმნას ურთიერთპატივისცემის კლიმატი. პირველი კლასიდანვე უნდა იგრძნოს მოსწავლემ, რომ ის არ არის გარიყული, მისადმი ყურადღებას იჩენენ მასწავლებელი და თანაკლასელები, ცდილობენ მხარში ამოუდგნენ და წახალისონ მისი ყოველი მცდელობა.

მე წელს პირველი კლასი ავიყვანე. კლასში მყავს აზერბაიჯანელი გოგონა. ის ერთადერთი არაქართველია კლასში. მეჩვენება, რომ გოგონა ხშირად ცდილობს თავი აარიდოს ამხანაგებთან ურთიერთობას, თითქოს ბუნებითაც მორიდებული და მორცხვია. ზოგჯერ კი იმაში ვიჭერ, რომ უბრალოდ ქართულ ენაზე საუბრის კომპლექსი აქვს და მოსმენილსაც გონებაში თარგმნის (ანუ ენობრივი ბარიერიც აქვს). ვაკვირდები მისდამი თანაკლასელების დამოკიდებულებას. ბავშვები ჩვეულებრივ, ნორმალურ ურთიერთობაში არიან მასთან. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა. ისინი ხედავენ, რომ მასწავლებელი დიდი გულისყურით ეკიდება, ეფერება, მოთმინებით უსწორებს შეცდომებს. მოგეხსენებათ, ეს ის ასაკია, როდესაც მასწავლებელი განსაკუთრებით მისაზამია და ავტორიტეტული მოსწავლეებისთვის. თუმცა პატარები არიან და ზოგჯერ შეიძლება გაიკვირონ კიდევ მისი შეცდომით ნათქვამი სიტყვა. ამას დიდი სიფაქიზით მოპყრობა სჭირდება, რომ ბავშვმა სულიერი ტრამვა არ მიიღოს (მით უფრო, რომ როგორც ჩანს განიცდის ბავშვი შინაგანად ენობრივ განსხვავებას. დედისთვის უთქვამს, მინდა ისე ილაპარაკო, როგორც ნატო მასწავლებელი). ბავშვები ხომ ფაქიზი არსებები არიან. ამიტომ მნიშვნელოვანია, იგრძნონ, რომ ჩვენ გვჯერა მისი შესაძლებლობებისა.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლეთა სწავლის სტილი ხშირად დამოკიდებულია მათი ცხოვრების წესზე, ეფექტიანი იქნებოდა სხვადასხვა მეთოდების გამოყენება. ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებით შედეგიანია ინტერაქტიური გარემოს შექმნა, რადგან ის ემყარება თანამშრომლობის პრინციპებს, მოზარდებს უვითარებს ერთიანობის გრძნობას, სოციალურ და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს. როდესაც მოსწავლეები ერთად მუშაობენ სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, აკადემიური მოსწრებისა და განსხვავებული კულტურის მიუხედავად ყალიბდება მეგობრული, ჯგუფური კოლექტივი და არა ეთნიკურ-კულტურული ნიშნებით

დაყოფილი საზოგადოება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, მშობლების მოზიდვა და ჩართვა სასკოლო პროექტებსა და საკლასო საქმიანობაში. ყოველივე ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეს გახდეს მისაბაძი საკუთარი და სხვა კულტურული ჯგუფებისათვის.

ამისათვის მე გადავწყვიტე, განვახორციელო დაახლოებით ერთკვირიანი პროექტი „სტუმრად აიშასთან“. რაც შემდგომში მდგომარეობს. აიშას დედას ვთხოვ, მოიტანოს ბავშვის სახასიათო ფოტოები, კარგი იქნება თუ ოჯახის სხვა წევრებსაც გავეცნობით ფოტოებით. მოვაწყობ სტენდს, სადაც მხიარულ სურათებს „აიშა, ბავშვები, მე და დედა შევურჩევთ ასევე მხიარულ სახელებს. მოვიწვევთ დედას და ვთხოვთ, გვიამბოს აიშას შესახებ. როგორია ის სახლში, რა უყვარს ყველაზე მეტად, დავუსვამთ კითხვებს, ვთხოვთ მისი საყვარელი საჭმლის რეცეპტი დაგვიწეროს და ა.შ.(იდეებს დედაც მოგვაწვდის) გოგონამ განსხვავებულად რომ არ იგრძნოს თავი, შეიძლება იგივე კვირეული რომელიმე სხვა მოსწავლესაც მოვუწყოთ, თუნდაც სიმორცხვით გამორჩეულს, ან სხსმ მოსწავლეს(თუ არის კლასში ასეთი). მე მჯერა, რომ ამის შემდეგ თანაკლასელები უკეთ გაიცნობენ მას და გოგონაც მეტად გაიხსნება. ეს უეჭველად აისახება მის სწავლაზე. მისი მოტივაცია და თვითშეფასება ამაღლდება. ჩემი აიშა გაცილებით უფრო თავდაჯერებული გახდება. მით უფრო, რომ მონდომებული გოგონაა. შეიძლება მისი რომელიმე განსაკუთრებული უნარიც გამოვავლინოთ.

მიმაჩნია, რომ მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს: რა გამოცდილება აქვს იმ კულტურისა და ეროვნების ადამიანებთან ურთიერთობაში, რომელსაც მისი მოსწავლეები წარმოადგენენ და როგორ გამოიყენებს ის ამ გამოცდილებას სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის; გაიაზროს თითოეული მათგანის შესაძლებლობები; შეეცადოს, რაც შეიძლება მეტი გაიგოს იმ უნარებისა და ცოდნის შესახებ, რასაც ისინი კლასგარეშე ფლობენ და დაეხმაროს მათ ამ ცოდნის გამოიმუშავებაში. მოსწავლეებს ეს ძალიან დაეხმარებათ თვითშეფასების ამაღლებაში. მასწავლებელს ერთი მხრივ არ უნდა გამოეპაროს სოციალური და აკადემიური წარმატებები, მეორე მხრივ ის უნდა იყოს ფხიზლად, რომ რომელიმე არ დარჩეს გარიყული. შედარებით პასიურ მოსწავლეებშიც მოძებნოს განსაკუთრებული უნარები და ნიჭი და შეეცადოს დანარჩენებს გაუზიაროს ის.

საკმაოდ ეფექტურია მოსწავლეების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში; მათთან სტუმრობა; მათი შეგულიანება, უამბონ თანატოლებს თავიანთი წარმოშობის შესახებ; საუბრები ისტორიულ ფაქტებსა და დღესასწაულებზე. კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, განსაზღვრულ დღეებში პრეზენტაციების მოწყობა საკუთარი რელიგიის, ენის, ეთნიკური წარმომავლობის, ოჯახური ტრადიციების თუ სხვა საკითხების შესახებ. დავანახოთ, რომ გვანტერესებს ყოველივე. წავახალისოთ მოსწავლეები და მშობლები ერთმანეთს დაუსვან კითხვები. ეს დაგვეხმარება უსაფრთხო კომუნიკაციასა და მოსწავლეთა შორის მნიშვნელოვანი კულტურული სახესხვაობების შესწავლაში.

საინტერესოა დისკუსიების გამართვა სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანებს შორის ურთიერთობების მნიშვნელობაზე. ვინაიდან ჩემი მოსწავლე ჯერ პატარაა საამისოდ, მსგავს ღონისძიებებზე მომავალში ვიზრუნებთ.

საერთოდ კი მნიშვნელოვანია, დავარწმუნოთ მოსწავლეები ერთზე მეტი ენის ცოდნის უპირატესობაში. შევავლიანოთ ისინი, ისწავლონ სიტყვები ერთმანეთის ენებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეთნოსები საქართველოში, რედაქტორი მერაბ ბასილაია, სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი 2008;
2. მულტიეთნიკური საზოგადოების კვლევა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, რაოდენობრივი კვლევის ანგარიში, განვითარების სააგენტო, თბილისი 2011;
3. განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში, სალომე მეხუზლა და ეიდინ რომე, ECMI-ის სამუშაო მოხსენება;
4. „მოსწავლეთა უმცირესობის ეფექტური სწავლების სტრატეგიები“, დონალდ ქუინი;
5. „სასწავლო და პროფესიული გარემო“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.